

როზეტა ასათიანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკონომიკა: ახალი ეპოქა.

I ნაწილი

რეფერატი

მონოგრაფია ერთდროულად ორი ისტორიული პროცესის - საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კატაკლიზმებით სავსე პერიოდს მოიცავს.

ახალი ეპოქის საქართველოს ეკონომიკის შესწავლა-გაანალიზება, ნაკლოვანებების გამოვლენა და მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინებით, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზების დასახვა ძირითადად იმ პრობლემათა ფართო წრეა, რომელიც ნაწილობრივ, ეტაპობრივად აისახა მონოგრაფიულ გამოკვლევებში. კერძოდ, ნაშრომი, რომელიც 6 თავისაგან შედგება, ეძღვნება 1991-2008 წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების, წინააღმდეგობებით სავსე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებების ახსნას, ეკონომიკის კონვერსიის ეტაპების დახასიათებას, ინსტიტუციური რეფორმების ანალიზს, ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებების – საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას, მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლას. მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს გამოკვლევის სრული შინაარსი (18 თავი), ნაშრომს ბოლოში დართული აქვს მომდევნო II და III ნაწილებში განსახილველი საკითხები. ამასთან, ვინაიდან წიგნი თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკას ეძღვნება, აუცილებლად მივიჩნიეთ წინა ეპოქების – დასაბამიდან, ვიდრე 1991 წლამდე პერიოდის მოკლედ გაშუქება, რაც აისახა ნაშრომის შესავალში.

კვლევის მიზანმა (ახალ ეპოქაში საქართველოს ეკონომიკის განვითარების სისტემური ანალიზი) და ამოცანებმა (რაზეც საკვლევი პრობლემის მასშტაბურობა მიგვანიშნებს) მოითხოვა თითოეული თემის გაშუქება თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტშიც.

წიგნი სამსახურს გაუწევს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობითა და სამომავლო შესაძლებლობებით დაინტერესებულ მკითხველს, ჩააფიქრებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისადმი ზედმეტად პესიმისტურად ან ნაკლებკრიტიკულად არიან განწყობილნი, უარყოფენ საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში მიღწეულ წარმატებებს ან დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს. ნაშრომი ჩააფიქრებს აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებიც ხოტბას ასხამენ ქვეყანაში უსისტემოდ, ფრაგმენტულად განხორციელებულ ცვლილებებსა და, აქედან გამომდინარე, იმ ფრიად ნეგატიურ ტენდენციებს, რომლებიც აფერხებს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რეალურ საფრთხეს უქმნის მის განვითარებასა და უბიძგებს ქრონიკულად ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენისკენ.